ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექცია

№გ-10102121472-17

"13" 09 2021 წ.

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის (ოფისი) რეკოსტრუქცია – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე უარის თქმის შესახებ.

არქიტექტურული პროექტის შეთანხმებისა და მშენებლობის ნებართვის გაცემის შესახებ ბრძანება – №4980839 06.07.2020წ.

ინსპექციის სპეციალისტების მიერ ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის ადგილზე შემოწმებისას დადგინდა შემდეგი:

ფასადებზე დამატებით მოწყობილია აგრეგატები, შეცვლილია საპროექტო კონდიციონერების მდებარეობა. +0.00ნიშნულზე გაზრდილია ვიტრაჟის გაბარიტები. ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების მოწყობა ნაწილობრივ არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას. ნაწილობრივ შეცვლილია კედლის სისქეები. +0.00, ასევე +3.25 ნიშნულებზე: დამატებით მოწყობილია მსუბუქი კონსტრუქციის ტიხრები, საოფისე ინვენტარის მოწყობა არ შეესაბამება საპროექტო დოკუმენტაციას, შეკიდულ ჭერზე დამატებით მოწყობილია მსუბუქი მასალის საიზოლაციო შრე, ნაწილობრივ შეფუთულია ძირითადი კონსტრუქციული ნაწილი, რის გამოც ვერ მოხერხდა კონსტრუქციული ნაწილის სრულყოფილად დათვალიერება. ნაწილობრივ შეცვლილია საპროექტო იატაკების მოწყობის ნიშნულები და სართულის სიმაღლეები. ნაწილობრივ შეცვლილია გადახურვის მოწყობის კონსტრუქციული სქემა. კიბის უჯრედებში სახელურები არ არის მოწყობილი. გასასვლელის მანიშნებელი ნიშნების ნაწილი არ არის მოწყობილი. საპროექტო შახტების ნაწილი არ არის მოწყობილი. ნაწილობრივ შეცვლილია საოფისე ფართებში შესასვლელი კარების მდებარეობა, რაოდენობა და გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია შენობის ფასადის კარების სიმაღლე. მცირედით შეცვლილია სანკვანძების გაბარიტები. ნაწილობრივ შეცვლილია შიდა გამყოფი კედლების მდებარეობა.

ფასადი "11-1": "1" ღერძის გარეთ კარის თავზე დასასრულებელია ფასადის მოპირკეთება (არ არის მითითებული მოპირკეთების მასალა). კარის თავზე სენდვიჩპანელის გადახურვა და ლითონის კოჭი ცდება ფასადის სიბრტყეს. "1" ღერძის გარეთ ღობის კედელზე დამატებით მოწყობილია სახუხავზე ასასვლელი ლითონის კიბე.

გეგმა +0.00 ნიშნულზე: "1" ღერძის გარეთ "დ" ღერძთან შეცვლილია კარის ტიპი. "1" ღერძის გარეთ შენობაში "ე'-დ'" მონაკვეთში გაუქმებულია გამყოფი ტიხარი, შეცვლილია მინაბლოკების გაბარიტები. გაზრდილია პირველი საფეხურის სიმაღლე.

გაზრდილია კიბის ბაქნის გაბარიტი. "1" ღერძზე შემცირებულია კარის გაბარიტი. "გ-დ" და "11-10" მონაკვეთში ოფისისთვის განკუთვნილ ფართში დამატებით მოწყობილია დანადგარები.

გეგმა +7.30 ნიშნულზე: "1" ღერძის გარეთ დამატებით მოწყობილია +7.30 ნიშნულზე ასასვლელი ლითონის საფეხურები, შეცვლილია სახურაბის მოწყობის კონსტრუქციული სქემა და მასალა. "1" ღერძის გარეთ შენობის პერიმეტრზე დამატებით მოწყობილია მოჯირი, შეცვლილია საპროექტო დანადგარების მდებარეობა.

პროექტის ხარვეზი: საპროექტო დოკუმენტაციაში არ არის ნაჩვენები ფასადი "1-11" ღერძებს შორის. ფოტომონტაჟი და ფასადის ნახაზები ნაწილობრივ არ შეესაბამება ერთმანეთს.

საქ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავის, ამავე კოდექსის 83-ე და 177-ე მუხლების, საქართველოს მთავრობის 24.03.09წ. №57-ე დადგენილების 95-ე მუხლის, 97-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მე-7 პუნქტის, 62-ე მუხლის, საქართველოს მთავრობის 28.01.2016წ. №41-ე დადგენილების, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 25 სექტემბრის №28-94 დადგენილებით დამტკიცებული ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის, მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის შესაბამისად;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შპს "ევოლუშენ ჯორჯია"-ს, ქ. თბილისში, ქუჩა თორნიკე ერისთავი, №2/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1/ ქ. თბილისში, მექანიზაციის ქუჩა №1-ში (ს.კ. №01.12.12.001.403) მდებარე მშენებლობადამთავრებული ობიექტის (არსებული შენობის (ოფისი) რეკოსტრუქცია – IV კლასი) ექსპლუატაციაში მიღებაზე ეთქვას უარი.
2. აღნიშნული ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში (მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №7) გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

საფუძველი: №10/01211483212-17 28.05.2021წ. და №10/012121472-17 02.08.2021წ. განცხადებები.

№წ-10/012121472-17 03.08.2021წ. ბრძანება

მუნიციპალური ინსპექციის
უფროსის მოადგილე მამუკა ჯაყელი